საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის

დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ ფასიერად ღირს 12,500 მ. სამგლოვიაროდ განცხადება 15,000 მ.; კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 500 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშაბათი, სექტემბრის 27

1921 წ.

სახელმწიფო უნივერსიტეტის სალექციო ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტები ღრმა მწუხარებით აუწყებენ მეგობართ და ნაცნობთ ამავე კურსის სტუდენტის ამხანაგ

დავით ვასილის ძე ნაცვლიშვილის

გარდაცვალებას. ცხედრის გამოსვენება მოხდება 28 სექტემბერს დილის 10 საათზე მიხეილის საავადმყოფოს სამლოცველოდან.

საქართველოს საეკლესიო დეპუტატთა საგანგებო (გოუტ) ქართულ განყოფილების თანამშრომლები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ქართველ საზოგადოებას ძვირფას დაუვიწყარ ამხანაგ თანამშრომლის

დათიკო ვასილის ძე ნაცვლიშვილს

გარდაცვალებას. ცხედარს გამოსვენებენ სექტემბრის 28 დილის 10 საათ. მიხეილის საავადმყოფოს სამლოცველოდან.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა საყურადღებოდ.

1. გამგეობა ამით აცხადებს, რომ ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტებზე სწავლა დაიწყება 1-ლ ოქტომბერს.
2. გამოცდები მიიღება ყველა პროფესორებთან 30 სექტემბრამდე.
3. უნივერსიტეტში შემოსვლისათვის თხოვნების მიღება შეწყვეტილ იქმნება 24 სექტემბერს.

2269 გამგეობა.

ტრიბუნიდან

20.

ახირებული მოწოდება.

პარიზის გაზეთ „ტან“-ში დაბეჭდილია ნოე ჟორდანიას და კარლო ჩხეიძეს მოწოდება დასავლეთ ევროპის ხალხებისადმი. მოწოდებამ ჩვენზე მოახდინა მეტად მძიმე და ცუდი შთაბეჭდილება.

ჩვენ ძალიან კარგად ვიცით თუ რა [illegible] ტფილისიდან პარიზში, როცა ცნობის შეძოწმება ძნელია და თან მრავალი მეცნობე გახვეულია განზრახ აკვიატებულ აზრებში, რომლის ავადყოფური ფანტაზია იქამდისაც მიდის, რომ ევროპის პრესას ქუთაისის ადებასაც აწვდის და ამავე დროს მთელ რიგ ისეთ მკვლელობებს, (ესც დაწვრილებით აწერილია), რომელთაც სრულიად არ ქონდა ადგილი.

დიად, ყოველივე ეს ჩვენ გვესმის და არ გვაკვირვებს. ბოლშევიკების პოლიტიკური და ეკონომიური მუშაობაც რომ არ მოეწონებათ მეზშევიკებს თუ დაც პირველებმა ნოხით მოფიხონ საქართველო—ესეც გასაგებია. ეს პოლიტიკის ანბანია. მაგრამ არის ყველა პარტიისათვის საგალდებულო ერთი ზნეობრივი ატრიბუტი, რომელსაც ვერ წავალებთ ხელებს წარა-მარა და მით უმეტეს ვერ დაუმოიჩილებთ შედარებით წვრილმან პოლიტიკურ ანგარიშებს. ეს გახლავთ გაჭირვებული ხალხის, დამშეულების დახმარების საკითხი და მისი ორგანიზაცია.

ჩვენ სრულიად უყურადღებოთ ვტოვებთ ყველა იმ ცნობებს, რომელიც მოყვანილია მოწოდებაში. ფორმალური მიზანი მოწოდებისა სურსათის მოწოდებაა ჩვენი ხალხისადმი და თვითონ მიზანი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ კრინტსაც არ ვძრავთ იმ სურათზე, რომელიც გულისხმობს დახმარებას.

მართლაც, მსოფლიო ომის და სამოქალაქო ომის განძავლობაში ყველა ქვეყნების ეკონომიური ცხოვრება ძალიან დაინგრა გარდა ისეთი ქვეყნებისა, რომელსაც ომის ალში არ იყვნენ გახვეულნი. საქართველოც წარმოადგენს ერთ ისეთ მხარეს, სადაც ომის მიერ აწყვეტილი ცხოვრების დალაგებისათვის დიდი ხნით თავგამოდებითი მუშაობა გვმართებს. ჩვენს ხალხს აკლია ყოველივე მასალა, როგორც წარმოებისა ისე სიცოცხლისათვის საჭირო. არა გვაქვს საწარმოვო იარაღები, საალვშენებლო მასალა, არაა საკმაო სურსათ-სანოვაგე. ჩვენ გვახარებს დღეს, რომ გიორგაძე ფხაკილი 7 ათასი მანეთი ღირს, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ასეთ ფასში ხალხის ფართო მასისათვის სანოვაგე მაინც მიუწვდომელია.

რომ ჩვენ [illegible] დიდია, განსა[illegible] რომელთაც ცხოვრების იარაღი ტიტველი მკლავია და არსებობის ბინა კი ქალაქი დაულაგებელი მრეწველობით—ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ვინ არ ხედავს ჩვენი ინტელიგენციის და ქარხნის მუშების აუწერელ გაჭირვებას. „დეზერტირეა“ და „სალდათის ბაზარი“ სავსეა ახალ მოდის ვაჭრებით, რომელთაც ვაჭრობა იმაში იხატება, რომ გასაყიდად გამოიტანონ უკანასკნელი თეთრეული, საყვარელი ნივთები და საჭირო იარაღები. მართალი, საბჭოთა ხელისუფლებამ შექმნა სამართველოს დიდი აპარატი, სადაც მრავალი ხალხია თავმოყრილი, მაგრამ ამ ხალხის დაკმაყოფილება ჯერ კიდევ დიდ მუშაობას მოითხოვს, ხოლო ისინი ამ ქამად ელემენტარულადაც არ არიან უზრუნველყოფილნი.

ერთი სიტყვით დიდი, დიდი და დიდი დახმარებაა საჭირო. ჩვენ ხალხს აკლია პური, წამალი, და ტანსაცმელ, ჩვენ ხალხს აკლია მრავალი საჭირო ნივთები ეკერა მართლა სიმშილოს და ვაებით შეყურებს ზამთარს, რომელიც ასე ძალე გვეკიდება თავისი ძლავრი ხელებით.

ყოველი ძალის უმაღლესი ძოყალეობაა ამ საქმეში ხალხი დაეხმაროს, მი წოდოს საჭირო სანოვაგე და მასალა. მაგრამ ეს საქმე მარტო არც მთავრობისაა და არც ერთი პოლიტიკური პარტიის. დიდია გაჭირვება, დიდი უნდა იყოს დახმარებაც, საყოველთაოა უბედურება—საყოველთაო უნდა იყოს მუშაობაც. ასეთ საქმეში ჩვენ ვერ უარვყოთ ვერც მთავრობის ხელი, ვერც ძმობის ხელს, ვერც ვერავის წინადადეას. გაჭირვეა არ არის პარტიული, არ შეიძლება იგი იყოს პარტიული, მით უფრო არ ეიძლება. იგი დაუკავშირდეს ეროვნულ პოლიტიკურ ამოცანებს. თუ ჩვენ მართლა გვსურა დახმარება დავივიწყოთ ეს პოლიტიკური ანგარიშები.

ჟორდანია-ჩხეიძის მოწოდებას ჩვენ იმიტომ უწოდებთ ახირებულ მოწოდებას, რომ მაში ეს ელემენტარული ზნეობრივი და ბოქალაქობრივი მოტივი არ არის დაცული. ჩვენ ვერ გაგვიგია; თუ ავტორებს მართლა დახმარების გრძნობა ამოქმედებს რად ხვევენ ამ საქმეს პოლიტიკის მანტიაში? ნუ თუ ეორდანიას ეეიძეს არ იციან, რომ ყოველივე ცალკე ვენი ხალხისათვის სასურსათო დახმარებისა სრულიად უნაყოფოდ ჩაიარა, [illegible]ორც კი ის მოექცევა პოლიტიკურ [illegible]ნებს? ვისთვის ან რისთვისაა საჭირო [illegible] პოლიტიკური ანგარიშები თუ ჩვენ[illegible]ირდ-პირ გავლენას ახდენს ჩვენი გ[illegible]ებული ხალხის ძალი[illegible] დახმარებ[illegible]ვის.

ნ. ჟორდ[illegible]ია და კ. ჩხეიძე მოუწოდებს [illegible], რომ „ჩამოაგდოს მოსულები“, „сбросить его пришельцев“. სად გგონ[illegible] და ვის მოსვლია ასეთი ადგილების [illegible]ტყვების ხმარება იქ სადაც ძარ[illegible] დახმარების გაწევა მთავარი მიზ[illegible]. ნუ თუ ჟორდანია-ჩხეიძე იმდენად [illegible]ბრყვილონი არიან, არ იციან, რომ არც ერთი მთავრობა არ მიიღებს [illegible]ირობებ[illegible] არ უნდა ქონდეს თავის [illegible]ელმწ[illegible]ფოში ისეთ დახმარებას, რომ[illegible]ის პირდაპირი ან მთავარი მიზანი იქნ[illegible] მთავრობის ჩამოგდება. მთელ[illegible] მოწ[illegible]ებაში, სადაც, მიხერხებულად გამო[illegible]ულია გაჭირვება ჩვენი ხალხისა [illegible]ელივე ეს გადანასკულია ამავე დროს [illegible]ნდა პოლიტიკურ მიზნებზე და ამ [illegible]ბრივ მოწოდება არა თუ ახირ[illegible]ულია [illegible]ავშეტრია თავისი შინაარსით, მოუფ[illegible]ებელია [illegible]ანიშნულებით და ავანტიურისტ[illegible]ია—რამდენადაც მშიერი ხალხის გაჭირვებას იყენებენ საკუთარი პოლიტიკური [illegible] მიზნებისათვის. ეს ყოველად შეუწყნ[illegible]ებელი და ადმა[illegible]ოთებელი ფორმა[illegible] [illegible]ოლიტიკური ექსპლოატაციისა.

ჟორდანია [illegible]ეიძე, როგორც სჩანს იდგა[illegible] საქართ[illegible]ველოდან ინფორმაციას. რაკი ეს ასე[illegible]ად ვერ გაიგო ყოფილმა მთავრ[illegible], [illegible]ომ საქართველოში ამერიკული კომ[illegible]ი ამ ქამად მთავრობასთან ერთად მუშაობს და რაც ნაწილდება ხალხში ნაწილდება ხალხის უდარიბეს ნაწილისათვის?

ყველასათვის გასაგები იქნებოდა, რომ მოწოდება ეხებოდეს მართლა საქმეს, მის ორგანიზაციას, მის მოგვარებას სასწრაფოდ და სხვა. ეს იქნებოდა საქმე მოსაწონი, სასარგებლო მთელი ჩვენი ქვეყნისათვის. ამის ნაცვლად კი მოწოდება ისეა აგებული, ისე სჩანს ზიგ ზაგი კბილები, რომ მოწყობილიც რომ იყოს დახმარება—დაიშლება და დაინგრევა.

თუ თქვენ მართლა ხედავთ განწირულ დედებს, რომელნიც თავს იკლავენ შვილების სიმშილის გამო—რად არ გავიწყდებათ თქვენნაგე პოლიტიკური მიზნები ამ დედების გულისათვის და სიმშილის საქმეშიაც რად არ აშორებთ ქვეყანას იმ პოლიტიკას, რომელიც შეუძლებლად ხდის ყოველ დახმარებას?

თუ ამერიკის ბუღალტერიის მინისტრმა გუვერმ, შეძლო რუსეთის ბოლშევიკებთან შეთანხმებით დამშეულთა დახმარება ნუ თუ თქვენ ვედარ შეძლებთ ეს, თქვენ, ქართველმა, დამშეულ ქართველ დედებისათვის? სად არის სიფიქიზე თქვენი გრძნობების, სიწმინდე თქვენი მიზნების, ან მართლა ათბოლებული თქვენი გული? ნუ თუ თქვენ გგონიათ, რომ ჩვენმა ხალხმა დაკარგა გონება წაკითხულის გასაგებად და გრძნობა პოლიტიკური ავანტიურის ალღოს ალებისა?

ყველა ადამიანი უმადურობით ადასავსე დაუბრუნებს ამ მოწოდებას „ტან“-ის რედაქციას იმ დავალებით, რომ ევროპაში შეიძლება ვინმე ალმოჩნდეს ქართველ ხალხის დამხმარე, რომ ასეთ ვინმეს „ტან“-ის მოწოდებებმა ხელი არ შეუშალოს.

ილია ლალიანი.

ჟორდანია-ჩხეიძის მოწოდება

გაზეთი „ტანი“ ბეჭდავს შემდეგს მოწოდებას ნოე ჟორდანიისა და საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ჩხეიძისას, რომელშიაც უკანასკნელნი მიმართავენ დასავლეთ ევროპის ხალხების საზოგადოებრივ აზრს:

„საქართველოს რესპუბლიკის სამი წლის დამოუკიდებელი არსებობის განმავლობაში ჩვენმა ხალხმა არ იცოდა სიმშილისა და ეპიდემიის საშინელებანი. მაგრამ რაც მოსკოვის მთავრობის ჯარებმა ეკვსი თვის წინ დაიკავეს ჩვენი ქვეყანა, ცხოვრების პირობები შესანიშნავად შეიცვალა; აქვე უნდა ითქვას, რომ თვით საქართველოს ოკუპაცია გამოწვეული იყო ბოლშევიკების მიერ ალმოსავლეთში შემდეგი იმპერიალისტური განზრახვების განხორციელებისათვის.

სულ მოკლე ხნის განმავლობაში ქვეყნის არსებობისათვის აუცილებელი მარაგი ამოიწურა. მისი ერთი ნაწილი გამოყენებულ იქმნა საბჭოთა ჯარებისათვის, რომელსაც მრავალი ჩინოვნიკი ჰყავს, მეორე ნაწილი რუსეთში იქმნა გატანილი, როგორც სამხედრო დავლა. ბოლშევიკების უსირცხვილო დეკრეტების გამო, სამხედრო რეკვიზიციის პირადი, ძალადობითა და მძრცველობით მჩაგვრელებმა ძალიან მოკლე დროში შეაჭამეს ჩვენი ეკონომიური ცხოვრების დეზორგანიზაცია, დასცეს ბრომის ნაყოფიერება, დ. ლეპეს ინდუსტრია, სოფლის მეურნეობა. ქვანახშირის წარმოება დაეკა 80 პროც., თითქმის ყველა ფაბრიკა-ქარხანები შეჩერდა. საბოსი ძიდამო შემცირდა 50% რკინის გზის ეკსპლოატაცია დაყვანილია ნოლამდე. მიუხედავად ამისა ბოლშევიკებმა გაძალებულ მცხოვრებლებისაგან მოითხოვეს ახალი კონტრიბუცია 50 მილიარდ მანეთის ოდენობით და ამას გარდა ბეგარის სახით აკრიფეს საკმაო ოდენობის მატყლი და საჭირო სურსათი. შედეგი: სიმშილი, ტიფი, ხოლერა, შავი ჭირი და ტფილისის მცხოვრებნი სიმშილისაგან ეცემიან ფეხზე. დედები, რომ არ უყურონ შვილების ტანჯვას, თავის სიცოცხლეს თვითმკვლელობით ათავებენ. ყოველ დღე მოსულთა უდელი თანდათანობით აუტანელია. მიუკვლიან რა თავის იმპერიალისტურ ავანტიურას, იყენებენ რა ჩვენს ტკივილს, როგორც ბაზას ახალი მტრული მოქმედებისათვის, ბოლშევიკები განაგრძობენ ახალ-ახალი ძალების თავისმოყვანას საქართველოში, რომელნიც რუსეთისაგან ეროვ ლუკმა პურსაც კი არ ღებულობენ, იტაცებენ მოსახლეობისაგან ყოველივეს, რაც კი აუცილებელია მათი არსებობის უზრუნველყოფისათვის.

თავისუფლება—დაკარგული ქართველს ხალხს, არ შეუძლია საკუთარი ძალით დაამარცხოს მის თავზე დამტყდარი უბედურება. გარედან შემოვიდა საქართველოში სიმშილი და ეპიდემია, გარედან უნდა შემოვიდეს დახმარებაც. გაზეთი „ტანი“ სწერს შემდეგ: ჟორდანია და ჩხეიძე თხოვნით მიმართავენ ევროპის და ამერიკის ხალხებს, რომელთაც უკვე განაცხადეს სურვილი ქართველი ხალხის დახმარებისა, დაუყონებლივ გაგზავნონ საქართველოში საჭირო სურსათი და მედიკამენტები. ეს დახმარება უნდა მოეწყოს ისე, რომ გაგზავნილი პროდუქტები არ ჩაუვარდეს ხელთ საბჭოთა ძალა უფლებას და მის ჯარებს, რომელნიც მხოლოდ ქვეყანას ანგრევენ. ამას გარდა ჟორდანია და ჩხეიძე სთხოვენ თავისუფალ ხალხებს ხმა აღიმაღლონ ქართველი ხალხის დასაცავად და ჩამოაგდონ მოსულთა უდელი, მოწოდება თავდება შემდეგი სიტყვებით: ახლა, როცა ბოლშევიკებს არ ძალუძთ შემდეგში დაფარონ თავგზარდამცემი უბედურებანი, რომელიც პირველათ რუსეთს და შემდეგ ჩვენს ქვეყანას ეწვია, დღეს როცა მოსკოვის ძალა უფლება მთელს ქვეყანას სთხოვს დახმარებას იმ შიმშილს დასახმარებლებლად, რომელიც დათესილია მათივე საკუთარი მორიტ-მოქმედებით; დადგა დრო, როცა თავისუფალი ხალხი ვალდებულია ხმა აღიმაღლოს კრემლის თვითმპყრობელობის უკანასკნელს მიროტმოქმედებაზე, რომელიც ჩადენილ იქმნა საქართველოს წინაშე. ყველა ხალხებმა ჩვენთან ერთად უნდა მოითხოვონ, რომ ბოლშევიკებმა დასტოვონ საქართველო და დაუბრუნონ ქართველს ხალხს უფლება თავისი ბედის თავისუფლად გამოქედვისა“. ეს განცხადება დაბეჭდილია „ტანის“ პირველს გვერდზე.

ოსების საკითხის გამო

საქართველოს ტერიტორია ბედ-მლაშე, ბედშავ, ბედკრულ, ბედმწირი გამოდგა. მაგრამ ჩამოთვლილ სახელ სართებში (ეპითეტი) ისეთი საზიში არც ერთია, როგორც ბედმწირი. ეს სახელწოდება სიტყვა იმას ჰნიშნავს, რომ ხალხი იყვეს თავის ქვეყანაში მაგრამ იმას არავინ არაფრად აგდებდეს, იმისი და იმის ქვეყნის ბედი სხვის ხელთ იყვეს.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიები ნამდვილად ქართველთ ავტონომიები უნდა იყვეს, რათგანაც ქართველობა საქართველოს ორთავ კუთხეში ძალაზე დიდძალია, აფხაზური, თუ ქართველთ ეროვნული კოლექტივის წევრად არ ჩაითვლება, და ოსმალური ელემენტი კი ეროვნულ უმცირესობას წარმოადგენს.

ოსებიც საქართველოში ეროვნულ უმცირესობას წარმოადგენენ იმ რაიონისათვისაც კი, სადაც ისინი მინადრობენ. სამხრეთ ოსეთად მონათვლა ი რაიონისა, რასაც ოსური შოვინიზმი ისწრაფვის, ყოველად შეუწყნარებელია, რათგანაც ქართლში ოსები არიან ათასობით, ოსეთი კი საქართველოს გარეთ არის.

ოსეთი ჩვენი სამამყო ქვეყანაა, რათგანაც ოსეთის ბაგრატიონთა გვარეულობამ ისეთი სახელოვანი ადამიანები აჩუქა საქართველოს, როგორც იყო: 1, თამარ მეფის დედა. ბუოდუნ დედოფალი, ოსთა მეფის ქალი, რომელისთვისაც ქართველი ცხოვრება ამბობს, [illegible] [illegible]ოსეთი ქართლ[illegible] [illegible] [illegible]; და 2 ისი[illegible] [illegible] [illegible], ოსეთის ბატონიშვილი, [illegible] [illegible] [illegible]

† სონია ლილუაშვილი

ჩვენი გაზეთის ფურცლები სამგლოვიარო პლაკატებად გადაიქცა.

ისინი ახალგაზრდების გარდაცვალებას გვამცნობენ.

სო